



MES 8 21 0000146216



22/02/2021

## სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი 18/02/2020

სხდომის დაწყების დრო 13:00 სთ

სხდომის დამთავრების დრო 13:20 სთ

საბჭოს თავმჯდომარე - ნინო ოკრიბელაშვილი

საბჭოს მდივანი - დავით ჭეიშვილი

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ნინო ოკრიბელაშვილი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. თამარ მამსიკაშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის N64 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. დავით ჭეიშვილი - სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N87 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს მდივანი;
4. მანანა სამხარაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
5. თამარა თორია - ა(ა)იპ - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
6. თეა სიფრაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი;
7. ელგუჯა მელაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
8. თამარ ვეფხვაძე - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;
9. ნინო კეკელიძე - შპს "აღმოაჩინე საქართველოს" დირექტორი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის

დებულების“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარება მოხდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღოთ მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

### **სხდომაზე დამსწრე პირი:**

### **სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი**

№	სახელი, გვარი	პოზიცია
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>7</sup> მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

### **სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ არა

### **დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი:**

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების განხილვა

**1. პირველი საკითხი** - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1.	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2.	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3.	კვალიფიკაციის დასახელება	სამართალი 0421
4.	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
5.	სწავლების ენა	ქართული
6.	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
7.	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	02/02/2021

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა ნინო კეკელიძემ. თვითაცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სააპელაციო საჩივარს და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

**ზეპირი მოსმენა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ოკრიბელაშვილმა აღნიშნა, რომ პროცედურულად დაწესებულების მიერ სააპელაციო საჩივრის ცენტრში წარმოდგენის შემდგომ, სააპელაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, მიღებულ იქნას თუ არა სააპელაციო საჩივარი განსახილველად ან უარი განაცხადოს განხილვაზე. საჩივრის მიღების წინაპირობები დეტალურად არის განმარტებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ დამტკიცებულ ბრძანებაში „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ (მუხლი 28<sup>3</sup>). იმ შემთხვევაში თუ საჩივარი აკმაყოფილებს დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, საჩივარი სააპელაციო საბჭოს მიერ მიიღება განსახილველად. სთხოვა ცენტრის თანამშრომელს, წარმოედგინა შესაბამისი ინფორმაცია საჩივართან დაკავშირებით ცენტრში შემოსული მასალების მიხედვით.

ცენტრის თანამშრომელმა ლალი ოდიშვილმა აღნიშნა, რომ შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი ეხება „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც 2021 წლის 02 თებერვალს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №53934 გადაწყვეტილებით მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია. შესაბამისად, დაწესებულების მიერ დაცულია სააპელაციო საბჭოში გასაჩივრების 1 თვიანი ვადა.

ცენტრმა განიხილა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ 2021 წლის 09 თებერვალს გამოგზავნილი სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №82299; №82337). განხილვის პირველ ეტაპზე ხარვეზი სააპელაციო განაცხადში არ გამოვლენილა ცენტრმა ასევე შეამოწმა ინფორმაცია და დააზუსტა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამ პროგრამის შესახებ სასამართლო წარმოებაში არ არის.

საბჭოს წევრმა, თამარ ვეფხვაძემ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში სავარაუდოდ დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი, რადგან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ დებულებით განსაზღვრულ შეფასებასთან არ მოდის თანხვედრაში.

საბჭოს მდივანმა, დავით ჭეიშვილმა განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ მიუხედავად, გადაწყვეტილების ცალ-ცალკე მიღებისა, დაარღვია საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა“ და საქართველოს პრეზიდენტის №414 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესებით“ განსაზღვრული მოთხოვნები, რადგან საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 02 თებერვლის სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ მოხდა ორი საკითხის ერთდროულად განხილვა, კერძოდ სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ოკრიბელაშვილმა საბჭოს სახელით განაცხადა, რომ სააპელაციო საბჭოს წევრებმა განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი. დაადგინეს, რომ საჩივარი შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი.

## **კენჭისყრის შედეგები**

მომხრე - 8;

წინააღმდეგი - 0.

**გადაწყვეტილება:**

მიღებული იქნეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი.

13:20 საათზე სააპელაციო საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ოკრიბელაშვილი ნინო

ნ. ოკრიბელაშვილი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი / სააპელაციო საბჭო  
მდივანი  
ჭეიშვილი დავით

